საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №118

ქ. ბათუმი 30 ნოემბერი, 2017 წ.

„ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის № 37 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, დადგენილების N1 დანართის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და აკრედიტაციისათვის მომზადების მიზნით, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, ფაკულტეტის დეკანი აკადემიურ საბჭოს წარუდგენს დასამტკიცებლად სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას. ამ ჯგუფის შემადგენლობაში შედის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელიც, რომელიც შეიძლება იყოს ბსუ-ს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. ერთიდაიგივე პირი არ შეიძლება იყოს ერთიდაიგივე საგანმანათლებლო საფეხურის ერთზე მეტი პროგრამის ხელმძღვანელი“.

2. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი ეთხოვოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს.

3. დადგენილება შესასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**